ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5585679

ნომერი: AR1834777

თარიღი : 28.06.2021

გაცემის თარიღი : 07.09.2021

გაცნობის თარიღი : 07.09.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ვეფხისტყაოსანის ქუჩა, N 86;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი მაზიაშვილი პ/ნ 01024037393
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 15 ბ. 16

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 15 ოქტომბრის №5139005 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 28 ივნისს №AR1834777 განცხადებით მომართა ირაკლი მაზიაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის 15

ოქტომბრის №5139005 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 15 ოქტომბრის №5139005 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ვეფხისტყაოსნის ქუჩა №86-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.72.14.038.712), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2020 წლის 2 ნოემბრის №5166426 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 2 ნოემბრიდან 2021 წლის 2 ივნისის ჩათვლით.
სამსახურის 2020 წლის 9 დეკემბრის №5219163 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2020 წლის 15 ოქტომბრის №5139005 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდ 2293.2 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 492.4 კვ.მ., საერთო ფართობად 4398.8 კვ.მ. ასევე, სამსახურის 2020 წლის 15 ოქტომბრის №5139005 ბრძანებით შეთანხმებული 0.00 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდა 2020 წლის 18 ნოემბრის №AR1788876 განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2020 წლის 15 ოქტომბრის №5139005 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ განმცხადებელს სურს ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე დაფიქსირდეს 16 ღია ავტოსადგომი საერთო ფართობით 223 კვ.მ.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი +0.00 ნიშნულის გეგმა, გენ-გეგმა და ღია ავტოსადგომების ჯამური მაჩვენებელი შეადარა ამავე ნიშნულის შეთანხმებულ +0.00 ნიშნულის გეგმასა და გენ-გეგმას და დაადგინა, რომ +0.00 ნიშნულის გეგმაზე და გენ-გეგმაზე დაფიქსირებულია 16 ღია ავტოსადგომი საერთო ფართობით 223 კვ.მ.
შესაბამისად, სამსახურის 2020 წლის 15 ოქტომბრის №5139005 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად შესაძლებელია დაფიქსირდეს - 223 კვ.მ.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 15 ოქტომბრის №5139005 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 15 ოქტომბრის №5139005 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 223 კვ.მ.
2. სამსახურის 2020 წლის 15 ოქტომბრის №5139005 ბრძანებით შეთანხმებული +0.00 ნიშნულის გეგმა (ჩანაცვლებული 2020 წლის 9 დეკემბრის №5219163 ბრძანებით) და გენ-გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმით და გენ-გეგმით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 15 ოქტომბრის №5139005 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 15 ოქტომბრის №5139005 და 2020 წლის 9 დეკემბრის №5219163 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.